№ 162
შაბათი, 30 ივლისი 1894

გაზეთის ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
0 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 162
შაბათი, 30 ივლისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთი დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია"
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА".

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი"
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს,
გარდა სათადარიგო ფულისა.

დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—34)

დეპეშა

28 ივლისი

პეტერბურგი. იმის გამო, რომ გერმანიის ბირჟაზედ ხმაა გავრცელებული, ხოლერამ ნიჟნი-ნოვგოროდს შეატანაო, ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ ეს ხმა სრულიად მოკლებულია საფუძველს, არც თვით ნიჟნი-ნოვგოროდსა და არც იარმუკაზედ არც ერთი მაგალითი არა ყოფილა ხოლერით ავად გახდომისა.

ლონდონი. იოკაჰამიდგან იუწყებიან, რომ 6 აგვისტოს (ახ. სტილისა) კორეში კვლავ მოხდა ბრძოლა; იაპონელებმა დაამარცხეს; ზარალი დიდი არა მოსვლიათ-რა; იაპონელებმა სეიკვანი დაიპყრეს; ჩინეთის ჯარი კონ-შიუში გაიქცა და 500 კაცი მოკლული და დაჭრილი ბრძოლის ველზედ დასტოვა. იაპონელებმა აზანი დაიპყრეს; ტოკიოსა და იაპონიის მთავარ ქალაქებში დიდს მხიარულებასა და აღტაცებაში არიან. მიკადო*) ნებას აძლევს ჩინელებს იაპონიაში დარჩენისას, იმ პირობით-კი, რომ მშვიდობიანად იყვნენ. ხმა დადის, რომ ვითომ იაპონიის ფლოტი დამარცხებულაო; დაწვრილებით ამ ამბისა ჯერ არა ვიცით-რა.

◆ ◆

ახალი ამბავი

⁂ სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ტფილისში მოელიან პეტერბურგიდგან სექტემბრის პირველ რიცხვებში.

⁂ გუშინ ტფილისში ჩამოვიდა მალოროსსების დასი, რომელიც კვირიდგან იწყებს წარმოდგენების გამართვას თუთაევის ბაღში „ფანტაზია".

⁂ ავლაბრის ხიდის ფიცრები ცამპალა და ცვივა მტკვარში, ამიტომ პოლიცია სთხოვს ქალაქის გამგეობას ეხლავე შეუდექით ავლაბრის და მეტეხის ხიდის შეკეთებასა და ფიცრების გამოცვლასაო სინამ რაიმე უბედურება არ მომხდარაო. ამ ხიდის შეკეთებას ქალაქის გამგეობა შეუდგება, როცა კუკიის ხიდზე გაათავებენ ყოველივე მუშაობას.

⁂ ამ თვის 28-ს დილით ავჭალაში უმთავრესი (მაგისტრალური) მილი გასკდა და ხუთშაბათს მთელი დღე ქალაქი უწყლოდ დარჩა. საკვირველია, რომ ამ სიცხე პაპანაქებაში, იმ დროს როცა წყლის მილები გაფუჭებულია და წყალი არ გამოდის, ქალაქის გამგეობის განკარგულებისამებრ პოლიციის მოხელენი არავის არ უშვებდნენ, რომ მტკვრიდგან წყალი წაეღოთ დასალევად. ხუთშაბათსვე გაფუჭებული მილი გამოცვალეს და საღამოს ცხრა საათიდგან წყალი ყველგან გამოჩნდა, მაგრამ გუშინ დილამდე ახალი მილის წყალი მღვრიე იყო, მოყვითალო ფერისა.

⁂ 27-ს და 28 ს ივლისს მეორე განყოფილების პოლიციის ბოქაულმა, ბ. ნაცვლიშვილმა დაათვალიერა მთაწმიდის დუქნები, და სადაც-კი ნახა უვარგისი და მკვახე საზამთრო, გადააყრევინა მედუქნეებს

⁂ მთაწმიდლებმა მოგვმართეს და სჩივიან, ეს ორი დღეა, რაც წყლის ნატრულნი გავხდით მთაწმიდელებიო. თავ წასული წყლის მზიდველი მუშები იმას უზიდავენ წყალს, ვინც ერთი სამად აძლევს ფასს. ჩვენ ღარიბები ვრჩებით დიდის ხნობით უწყლოდ ამ პაპანაქება სიცხეში და ვართ ერთ გაჭირვებაშიო... მუშები მუდამ ასე იქცევიან აქ, როდესაც წყალი-კი ილევს ხოლმე ტფილისის წყლის მილებშიო.

⁂ იმიერ—საბაშიოში წრეულს კარგს მოსავალს მოელიან ქორნახულისას. ვენახებსაც აქეთ ძალიან კარგად ასხია და თუ ამას შემდეგ ამინდი დაუდგა, ათ შაურად გახდება აქეთ ჩაფი ღვინოო.

⁂ ახალი სენაკი: მოვიდა თუ არა ახალი მაზრის უფროსი ბ-ნი ქავთარაძე, უწინარეს ყოვლისა თავისი ყურადღება ქალაქის სისუფთავეს და განკარგებას მიაქცია. სხვათა შორის განაახლა ჩვენი მრავალი წლის გაუქმებული და უპატრონოდ დარჩენილი ეგრედ წოდებული „ბულვარი", რომელიც ოთხ-ფეხა საქონლის საძოვარი იყო. ეს „ბულვარი" ამ რამდენისამე წლის წინად სწორედ კარგად იყო მორთული, მაგრამ ამ ჟამთავითარებისა გამო პირუტყვების ბურთად და მოედნად შეიქმნა. წარმოიდგინეთ აქაურების გულცივობა: მთელის ქალაქის მცხოვრებლების და მოქალაქეების ერთად-ერთი სასეირნო მხოლოდ ეს „ბულვარი" გახლავთ და ესეც ასე უყურადღებოდ დარჩენილია დღემდე. მაზრის უფროსმა ქალაქის დეპუტატებს გამოუცხადა, დასაჯდომი სკამები გაემართათ და გაიმართა კიდეც. ამ „ბულვარის" ნაკლულევანება ის არის, რომ გრძელი და უგანოა.

---

*) ასე უწოდებენ იაპონელები თავიანთ მეფეს.

ფელეტონი

ნაწყვეტი

ნეტა ვისი ხარ, ქალწულო,
მნათთა მნათობი მზე ხარო,
შენ აქ რა გინდა მიწაზედ,
ცის ანგელოზსა ჰგავხარო,
იქნება მისთვის მოჰკლულხარ,
რომ გული ამინეტერო,
და ჩანგი ჩემი ციურის
ხმა-გრძნობით ამკვნესარო!..

დ. მაჩხანელი

◆ ◆

ბათუმის ავ-კარგიანობა

რატილის კონცერტი. — სადღეგრძელო.—ერის ფანტაზიის ნამოქმედარი და ჩვენი მოვალეობა.—ქართული სამუსიკო საზოგადოება.—ბათუმის სასწავლებლის შენობა.—სამკითხველო.

ბ-ნი რატილი თავისის ხოროთი ბათუმელებსაც გვეწვია და 10 და 13 ივლისს ორი კონცერტი გაჰმართა. პირველ კონცერტის დროს თავი იჩინა ბათუმელების ჩვეულებრივმა გულცივობამ და ხალხი ცოტა დაესწრო, მაგრამ ვინც დაესწრო დიდის აღტაცებით მოისმინეს კონცერტი. ბ-ნმა რატილმა დაუზარებლათ გაიმეორა ბევრი ხმები. კონცერტი რომ გათავდა, მგალობელნი ლოტბარითურთ მიიწვიეს ვახშმათ. აქვე სთხოვეს, რომ დარჩენილიყო მეორე კონცერტისთვის და აღუთქვეს ბილეთების გაყიდვით დახმარება.

13 ივლისს გაიმართა მეორე კონცერტი, რომელსაც, პირველთან შედარებით, უფრო ბევრი საზოგადოება დაესწრო. შემოსავლის ერთი ნაწილი გადადებული იქმნა ქუთაისის ერთის ღარიბის ოჯახის სასარგებლოდ. ხორომ ბევრი საგალობელი განიმეორა საზოგადოების თხოვნით და პროგრამის გარეშეც ბევრი სთქვა. საზოგადოდ უნდა შევნიშნო, რომ ბ-ნ რატილმა იმ ოთხის-ხუთის დღის განმავლობაში, რომელიც იგი აქ დარჩა, მოგვხიბლა და მოინადირა ჩვენი გული. წმინდა ქართულ ხმებთან აქა-იქ ევროპიული ხმებიც მოისმოდა, რაც კონცერტს ქართულს ხასიათს არ უკარგავდა. რატილს მისმა პატივისმცემლებმა საჩუქარი მიართვეს.

კონცერტის შემდეგ იგი თავისი ხოროთი მიიწვია ვახშმად ერთმა აქაურმა ქართველმა მოხელემ. გაიმართა ნამდვილი ქართული ქეიფი, რომლის დროსაც განუწყვეტელი მრავალჟამიერი და ხოროს ტკბილი ხმები დიდხანს აღვიძებდნენ ბათუმის „მიძინებულ ბუნებას". მადლობა გამოუცხადეს რატილს, რომ იგი, უცხო ტომის კაცი, შემოგვეკედლა ჩვენ, მისთვის უცხო ერს, დიდის გულ-მოდგინებით და სიყვარულით შეიმუშავა ჩვენი ხალხური ხმები. რატილმა თავის მხრივ დალია სადღეგრძელო ჩვენის ერისა და სთქვა, რომ ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხოსნობს, რომელსაც შეულახავად შეურჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო. კაცისთვის უძვირფასესი საუნჯე დედა-ენაა, სამშობლო საგალობლები და ჰანგებიო. გარდაქმნა, გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები აქვს შეუძლებელიაო. „საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეში იმდენი სხვა-და-სხვა საგალობელია, ისეთი მდიდარი ჰანგებია, რომ მე სხვა ქვეყანას ვერ დავასახელებ, რომელიც ამ მხრივ იმას შეედაროს. მეტადრე მდიდარია საქართველოს ხოროთი სათქმელ ხმებით, რომელთა შორის მრავალი ნამდვილი სიმფონიაა და ჰხიბლავს ევროპიელის სმენასაო".

იქნება ცოტა გადაჭარბებით იყოს თქმული, რომ საგალობელ ხმებით საქართველოს სიმდიდრეს სხვა ქვეყანა არ შეედრებაო, მაგრამ ის-კი მართალია, რომ კაცისთვის სამშობლო ხმაზედ უძვირფასესი საუნჯე არაფერიაო. სხვა ერთა საგალობელი ჰანგებს სჯობია თუ არა, ეს სულ ერთია; საქმე ის არის, რომ ჩვენთვის ჩვენი ხმები ძვირფასია, შეუდარებელია; იმათ მაგიერობას უცხო ერის ხმა და ჰანგი ვერ გაგვიწევს. როგორც დედის ნანა საუკუნოდ ჩარჩება ბავშვს გულში, ისე სამშობლოს ნანა თან შეეზრდება, შეეთვისება კაცს და იმაზედ უტკბილესს ჰარმონიას ველარ მოიპოვებს თავის სიცოცხლეში. საჭიროა მხოლოდ, რომ ეს სამშობლოს ნანა ვიდრე შეიცვლებოდეს, გადასხვაფერდებოდეს, შეიბღალებოდეს, გადმოვიღოთ ნოტებზე, აღვბეჭდოთ და ისე გადავსცეთ შთამომავლობას. იკრიბება ხალხური ლექსები, ზღაპრები, გარდმოცემანი, ლეგენდები და სხვა ხალხის ფანტაზიის ნაწარმოები. ყველგან იგი მიაჩნიათ ხალხის კულტურულ სიმდიდრის ნიშნად. ასევე უნდა იყოს ნოტებად დაბეჭდილი ხალხური სიმღერა-გალობა. ამის საშუალებით ერთს რომელსამე კუთხეში გავრცელებულს ხმას ყველა გაიცნობს, დაუვიწყარად და შეუცვლელად იქმნება შეტანილი ჩვენის კულტურის საღაროში.

ხალხის ისტორიულს ზრდას, როგორც თითოეულის ადამიანისას, რამოდენიმე ჰასაკი, ხანა აქვს. რაც ერთს რომელსამე ჰასაკში ერის ფანტაზიას შეუქმნია, იმას მეორე ხანაში ველარ შეჰქმნის და აი, კიდეც ამიტომ არის საჭირო შეუცვლელად აღიბეჭდოს ყველაფერი, რაც-კი ხალხის ფანტაზიის ნამოქმედარს შეადგენს სხვა-და-სხვა დროს, ამნაირად მტკიცდება ხალხის ისტორია, მდიდრდება მისი კულტურა. დროთა ვითარების გამო, ჩვენ ეხლა უმოქმედობის ხანა გვიდგა. ჩვენი თვით-მოქმედებითი ძალა შეჩერებულია. სანამ ამ ძალას გაეხსნებოდეს ასპარეზი, იმას მაინც უნდა ვეცადოთ, არ დაგვეკარგოს, არ

ამის გამო მაზრის უფროსმა ამ საგნის შესახებ აღძრა ლაპარაკი და სურს ის შუაგული ადგილი ქალაქისა ,,ბულვარად‘‘ გადაკეთდეს. ამ ადგილის ,,ბულვარად‘‘ გადაკეთების შესახებ ერთ დროს დაბაცა ჰლაპარაკობდა, მაგრამ, საუბედუროდ, ამ კეთილმა საქმემ ჩაილულის წყალი დალია. ამისდა მიუხედავად ეს ადგილი მართლაც თვალ-საჩინოა და ღმერთმან ინებოს ამ სურვილის განხორციელება. თუ აქ ,,ბულვარი‘‘ გაკეთდა, მაშინ დაბისთვის დიდი ბედნიერება იქმნება.

⁂ ზემო-მაჩხაანი. ზემო მაჩხაანი ძალიან ახლოა ქვემო-მაჩხაანთან, მაგრამ მოკლებულია ყოველსავე ქვემო-მაჩხაანის წარმატებას. საკვირველი ის არის, რომ თითქმის ყოველი სოფელი და მისი მოხელენი სცდილობენ როგორმე ქვემო-მაჩხაანს წაჰბაძონ, მაგრამ ზემო-მაჩხაანის მოხელეები-კი სრულიად გარინდებულნი და ყურ-მოყრუებულნი არიან. სასწავლებლის საქმეც-კი რიგიანად ვერ წარუმართავთ აქა. სირცხვილი-კი არის, რომ ამოდენა სოფელს, რომელსაც ხუთი კიდევ სხვა სოფელი მხარს უწევს და ეწევა სასწავლებლის ხარჯში, ერთი უბრალო სამინისტრო სასწავლებელი ჰქონდეს!? აიღეთ თუ გნებავთ ფრიად სასიამოვნო განკარგულება მაზრის უფროსისა, რომელმაც აუკრძალა ვაჭარ-ჩარჩებს კალოებზე ვაჭრობა. თითქმის ყოველ სოფელში ასრულებენ ამ განკარგულებას, მაგრამ ზემო-მაჩხაანი ამასაც მოკლებულია! აი კიდევ რამდენი ხანია, რაც ამ სოფლის მღვდელი უსახლოდ არის დარჩენილი, დ თითქმის ყოველ დღე იხვეწება სახლის აშენებას, მაგრამ დღესაც დაპირების მეტს ვერას ჰხედავს.

⁂ ს. ბალთა (თერგის ოლქი): ამ დღეებში აქ ერთი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. სამი კაცი სანადიროდ წავიდა მახლობელ, დაბურულ ტყეში. უეცრად ერთს უზარმაზარ დათვს წასდგომოდგნენ თავს, დაეწყოთ თოფის სროლა, დათვი გაქცეულიყო, გზაზედ მიმავალს მგზავრს გამხეცებულ-გამწარებული სცემოდა, დაეცა ძირს და დაუწყო მისი ბუბნვა. იმის ყვირილზე უკან ჩამორჩენილი მონადირეები მოშველებოდნენ, დაეწყოთ თოფის სროლა, მაგრამ გამწარებული დათვი დიდხანს იმაგრებდა თურმე თავს. ბოლოს დაეცა ძირს მთლად გასისხლიანებული, მაგრამ ცოცხალ-მკვდარი მგზავრი მაშინვე გარდაცვლილა, ველარაფერი უშველეს.

⁂ დ. ყვირილა: ივლისის 27 მიკიტნის ირაკლი კავილაძის დუქანში ღამის თორმეტ საათზე ტომით ოსმა მოჰკლა დ. ყვირილის ბაზრის ღამის დარაჯები, გლეხი ნარიმან საცერაძე და აზნაური ევგენი ბაჟუაშვილი. მკვლელი დაიჭირეს. მცირეოდნად მკვლელიც არის დაჭრილი.

⁂ სოფ. მოხისი (ქართლი): ჩვენ სოფელში კალოობა გახშირდა; პურსა და ქერს კარგი გამოსავალი აქვს. ქერი ფუთი ცხრა შაურად გაიყიდა, პურის მყიდველი-კი ჯერ-ჯერობით არა სჩანს. სამოხისო თუმცა სულ ურწყავი მამულია, მაგრამ წრეულობით სიმინდსა და ლობიოს კარგი პირი უჩანს. ეს ორი კვირა სულ აღმოსავლეთის ქარი ჰქრის და თუ ვინიცობაა კიდევ გასტანა, სწორედ მოგახსენოთ, ლობიოს ძალიან წაგვიხდენს. ამ ერთის კვირის წინად თურქული ძალიან მოედო საქონელსა; ახლა-კი თითქმის სრულებით განელდა, თორემ თქვენი მტერია, რომ ამ კალოობაზედ ცუდ საქმეს დაგმართებდა.

⁂ ბ. ტფილილის გუბერნატორმა ყველა მაზრის უფროსებს ტფილისის გუბერნიისას შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა:

«რადგანაც სამინისტრო საერო განათლებასა ამ ჟამად ზრუნავს, რომ სოფლებში გავრცელებული იქმნეს საგანგებო სწავლა, განსაკუთრებით, სოფლელებს ექნეს შეთვისებული პირველ დაწყებითი, უმთავრესი წესები მებაღეობისა, მებოსტნეობისა, ფუტკრის მოშენების და აბრეშუმეულის გავრცელებისა, სადაც-კი ეს შესაძლოა, ტფილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპექტორი მოიქცა ჩემდამი თხოვნით, რათა დავიხმარო მკვიდრნი სოფელთა და ქალაქთა ამ სასარგებლო საქმეშიდ. მით უმეტესს, რომ ამ ჟამად დირექციას სახალხო სასწავლებელთა განზრახვა აქვს ასეთი განყოფილება დაარსოს შემდეგს ადგილებშიდ: ახალციხის მაზრაში—უდინის და აწყურის შკოლებთან, გორის მაზრაში—ქარელის, ახალქალაქის, კავტისხევის, გომის და მეჯვრის ხევის სკოლებთან, ახალქალაქში—იქ სადაც ადგილობრივი მაზრის უფროსი საჭიროდ სცნობს და ბორჩალოს მაზრაში—ვარანცოვის, წალკინის და პრივოლნენსკის სკოლებთან.

ამისათვის ბ. გუბერნატორი სთხოვს ყველა მაზრის უფროსებს—მოიწვიონ მკვიდრნი მათდამი რწმუნებულის მაზრებისა და ჰკითხონ: ინებებენ თუ არა ამ საქმეს თანაგრძნობა აღმოუჩინონ და ყოველ სკოლას ერთი, ან ორი დესეტინა საზოგადო, თავისუფალი მიწა დაუთმონ, დაიმუშავონ პირველად და შემოღობონ?.. თუ რომ ამაზე თანხმობას განაცხადებენ მაშინ უნდა შესდგეს კანონიერი ოქმი საერო კრებისა და იგი წარედგინოს ბ. გუბერნატორს საქმის შემდეგის მიმართულების მისაცემად. (,,Нов. Обоз.‘‘).

⁂ გაზ. „Нов. Обоз.‘‘-ეს გაუგონია, რომ საკასაციო საჩივარი ბაგატუროვისა, რომელსაც კავკასიის სამხედრო სასამართლომ ბაქოში სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა გიმნაზიაში მოსწავლე ქ-ნი გლასბერგის მოკვლის გამო, უმთავრესმა სამხედრო სასამართლომ არ შეიწყნარა და საქმე უკვე წარედგინა კავკასიის მთავარ-მართებელს განაჩენის დასამტკიცებლადო.

⁂ 28 ივლისს სოფ. ზვარეთის მცხოვრებელი ალექსანდრე ოქროპირის ძე კერვალიძე მტკვარში ცხენს აბანავებდა, ცხენიდგან გადავარდა და დაირჩო.

დამკვირდი

მოთმინება დიდად საიმედო დუშაა ხსნისა და განთავისუფლებისა ცხოვრებით აღშფოთებულს და აბობოქრებულს ზღვაზედ.

**

ერთის სიტყვის გამო შეიძლება ჭკვიანის სახელიც დაგივარდეს და უსწავლელისაც. ამიტომ იცოდე ფასი ყოველის სიტყვისა და ფრთხილად იყავ!

კონფუცი

**

ჩვენ საკმაოდ გვაქვს სარწმუნოება ერთმანეთის სიძულვილისა, მხოლოდ ურთიერთის სიყვარულისათვის-კი სარწმუნოება გვაკლია.

სვიფტი

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

ᲡᲝᲤ. ᲒᲝᲒᲐᲨᲔᲜᲘ (ჯავახეთი). ორი კაცი გაგიჟდა ჩვენს სოფელში ტატო და გიო. ტატო არის 27 წლისა, გიო 15 წლისა. დაეცნენ მიწაზე, დაჰნდნენ პატარა ხნის შემდეგ ადგნენ, სთქვეს რომ ჩვენ ვანის ქვაბის ეკკლესიის წმიდა გიორგი და მაცხოვარი ვნახეთო. წმიდა ქადაგები ვართო. იმავე სოფლის გლეხები მივიდნენ სანახავათ და ეკითხებოდნენ, რა ნახეთო? გიჟი ეუბნებოდა: შენ შვიდი ფუთი ცოდვა გაქვსო. არაფრით შველა არ გექმნებაო. ვხედავთ, რომ ადუღებულ წყალში გდებენო: ვინც-კი მიდიოდა ყველას, ამისთანა რასმეს ეუბნებოდნენ. გლეხებს მართალი ეგონათ და სჯეროდათ: მიდიოდნენ მუხლ-მოყრილნი და ხელ-ფეხზედ ემთხვეოდნენ დიდის კრძალულებით. თავიანთ ბიძას უთხრეს, რომ შენ ეშმაკი ხარო. კუდი გაქვსო. ადუღებულ კუპრში გდებენო. სანამ კონაძის ცოლს ფეხზე არ აკოცებ, ცოდვა არ შეგენდობაო. ეს კაციც მივიდა და ფეხზედ ემთხვია გლეხის ცოლს; წმიდა გიორგი სალმრთოს თხოულობსო. მთელმა გლეხებმა იყიდეს ერთი ხარი, წაიყვანეს ვანის ქვაბში, მთელი სოფელი წავიდა ქალით-კაცამდე ზურნით და ნაღარით, ილოცეს და ხარი დაჰკლეს. ღამე უთიეს. მეორე დღეს-ღა ჩამოვიდნენ სოფელში.

ქადაგებმა გააკეთეს უბრალო მანდილის დროშა, ამართეს სოფელში თითო დიდი ჯოხი, მიეხვივნენ გლეხებს და დაუწყეს ცემა; თან ეუბნებოდნენ, ცოდვილები და მართლები უნდა გავარჩიოთო. ამ სოფელს მოვრჩებით და სხვა სოფლებში უნდა წავიდეთო. ვისაც-კი მოასწრეს, კარგად სცემეს; იმავე სოფლის მცხოვრებელმა შორიდგან დაინახა ქადაგები, მიირბინა, დაიჩოქა ერთ საჟენის მანძილიდგან ჩოქით მივიდა და ხელ-ფეხზედ ემთხვია. ქადაგებმა მეორეთ გამოაცხადეს, რომ მაცხოვარი გამომეცხადა და მითხრაო, წმიდა გიორგი ჩემზე ხომ მეტი არ არისო, რომ იმას სალმრთო დაუკალით და მე არაო. წმიდა გიორგი მეუბნება, რომ მე შენზე მეტი ვარო. თუ მეც დამიკლავთ მაშინ მე მეტი ვიქმნებიო. მე და წმიდა გიორგი აღარ წავიჩხუბებითო. რასაკვირველია, გლეხები მიხვდნენ, რომ ქადაგები სიცრუეს ამბობდნენ და ქადაგები-კი არა, გიჟები იყვნენ. მართალია, პირველში დიდის სასოებით სწამდათ, მაგრამ ახლა დარწმუნდნენ, რომ გიჟები არიან, მით უმეტეს, რომ სიგიჟეს უფრო მოუმატეს.

ეს ამბავი კაი ხანია მომიტანეს და მეც ისე ადვილად ვერ მივენდე. დაწვრილებით გამოვკითხე თითონ სოფლელებს და, სამწუხაროდ, სუყველაფერი მართალი აღმოჩნდა, თუმცა ქალამნები არავის ულოკია, მაგრამ სხვა-კი მართალიაო, და ახლა-კი დავრწმუნდით, რომ გიჟები არიანო—ერთი ცოლ-შვილიანია და მეორე სულ ახალგაზდა ბიჭიო.

უმთავრესი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა ისაა, რომ ეს ორი სოფელი, გოგაშენი და აფნია ძლიერ დაშორებულნი არიან ქილდას, სადაც მღვდელი სცხოვრობს და ხალხს იმ ხელად არავინა ჰყავდა ჩამგონებელი და წინამძღოლი. ამ ორს სოფელს არც სკოლა აქვთ, რომ მასწავლებლის კეთილ გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს ბნელი ხალხი.

როგორც შევიტყეთ, ამ ორ სოფელს რამდენიმე წელიწადია უთხო-

დავივიწყოთ ის, რაც წინად შეუქმნია ჩვენის ერის ფანტაზიას. ვალდებულნი ვართ ეს სამსახური გავუწიოთ ჩვენს ერს და წილი დავუდოთ მისი კულტურის ისტორიის შექმნას.

შანსონეტებს, უცხო რომანსებსა და კინტოურ ხმებს დიდის გატაცებით ვმღერით, და რასაკვირველია, ბევრს არ გაუგონია იმისთანა შესანიშნავი ხორული ხმები, როგორც მაგალითად რაჭაში არის „ქვედრულა“, ,,ქლელეს ჩამოდგა ოსი და დვალი‘‘ და სხვა მრავალი. ჩვენ თუ ვერაფერს გავაკეთებთ, ხელი მაინც უნდა შევუწყოთ ამ თითო-ოროლა, მუშაკს, რომლებიც ჰკრებენ ხალხურ-სიმღერა გალობას, მაგრამ შეძლება არ აძლევთ ნებას გამოაქვეყნონ თავისის შრომის ნაყოფი. საზოგადოების შეგნებულის ნაწილის მოვალეობაა არავითარი ხარჯი არ დაზოგოს ამ შრომის გამოსაქვეყნებლად. ბ ნ რატილს ბევრი ჰანგი ჰქონია დაწყობილი ნოტებზე, მაგრამ შეძლება ნებას არ აძლევს თურმე, რომ დაბეჭდოს.

ვახშმის შემდეგ ლაპარაკი ქართულ სამუსიკო საზოგადოების დაარსების საჭიროების შესახებ ჩამოვარდა. ჩვენში რაც საზოგადოებებია დაარსებული, ხალხის ყურადღებას მოკლებულია, ძლივს და სულს იბრუნებენ. ვინ ამბობს, რომ საჭირო არ იყოს სამუსიკო საზოგადოება. საჭიროა, დიდი მნიშვნელობაც ექნება, მაგრამ ბოლოს ვერ გავიტანთ. ბევრი კარგი საქმე დაწყებულა ჩვენში, ბევრ ლამაზს აზრს გავუტაცნივართ, მაგრამ საქმეს ვერ გავძღოლივართ, ლამაზი აზრები მალე მოგვწყენია. საზოგადოების შედგენას სჯობია დრო გამოშვებით, როგორც საჭიროება მოითხოვს, გამოვსცეთ ის ორიოდე დავსტამბოთ სიმღერა-გალობა, რომელსაც მოგვაწვდიან მუსიკის მცოდნენი. ვაი თუ დრო წავიდეს და შემდეგ გვიანღა იყოს და შეუძლებელი გახდეს იმისი გაკეთება, რის გაკეთებაც ახლა შეიძლება. მაგალითებრ, ,,ქვედრულა‘‘-ს ამ ათის წლის წინად მთელს რაჭაში გაიგონებდით, ეხლა-კი დარჩენილა მარტო ზემო რაჭის მთის სოფლებში, სადაც ჯერ არ მოუწევია „მითხარ, მითხარ რას მემდური“-სა და „ბუზიკას“. საჭიროა ვინმემ ითავოს, მიჰმართოს გამოცდილს მუზიკის მცოდნეს და სთხოვოს, რომ ჩვენის ქვეყნის ყოველი კუთხე შემოიაროს და გულ-დადებით გადიღოს ხალხური ხმები ნოტებზედ. ამ საქმის დაბოლოვებას რაც ხარჯი დასჭირდება, ბათუმელები დიდის კმაყოფილებით ვიკისრებთ ამ ხარჯში მონაწილეობას.

ბათუმელმა ქართველობამ განიზრახა, როგორც მოგეხსენებათ, საკუთარი ეკკლესია და სასწავლებლის შენობა ააგოს, სასწავლებლის შენობას კედლები ამოყვანილი აქვს და უნდა დამთავრდეს სექტემბრისათვის. ეს შენობა ჯდება თორმეტ ათას მანეთამდე, დღევანდლამდე შეგროვილია ხელის მოწერით შვიდი-ათას მანეთამდე, მაშასადამე კიდევ საჭიროა გაიწერონ ბათუმელებმა ხუთი-ათასი მან., თუ სასწავლებლის კომიტეტმა სხვა ვერაფერი წყარო გამოჰნახა უფრო-კი საფიქრებელია, რომ კომიტეტი ისევ ხელის მოწერას მიჰმართავს და სინამ ამ რიგად ფული შეგროვდებოდეს, ვალს აიღებს და ასე დაასრულებს საქმეს. მაგრამ ბათუმელები, იმედია თავის დაწყებულს საქმეს თითონვე დაასრულებენ და ვალს მალე გადიხდიან.

ეკკლესიის აგებას, როგორც ამბობენ, დასჭირდება 20 ათასი მან. და ბათუმი ამ საქმეს აგრე ადვილად ვერ შეუდგება. საეკკლესიო კომიტეტი ჯერ არაფერს შუაშია. საჭირო-კი არის, რომ კომიტეტმა საძირკველი მაინც ჩაჰყაროს ამ წლის ბოლომდე, რადგან საშიშია, რომ ქალაქმა უკან არ დაიბრუნოს ის მიწა, რომელიც ეკკლესიისათვის აქვს დათმობილი, თუ დიდხანს არ იქმნა დაწყებული ეკკლესიის აშენება.

მადლი ჰქენი და მარილიც მოაყარეო, ნათქვამია. ამ ორ საშვილი-შვილო საქმეს, რომ მესამეც მიემატოს, ბათუმელი ქართველობა წილს დაიდებს ჩვენის ერის პროგრესიულ წინ-სვლაში: ეს მესამე საფუძვლიანად მოწყობილი სამკითხველო და წიგნთ-საცავია. სასწავლებელი, ეკლესია და სამკითხველო ერთმანეთზეა გადაკავშირებული და ძალიან ძნელი სათქმელია, რომელ მათგანს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ბევრი კარგი წიგნი გვაქვს, კითხვის სურვილიც ბევრსა აქვს (ამას ამტკიცებს ბათუმში გამართული კალანდარაშვილის და ამხ. წიგნის ფარდული, სადაც ყოველ თვე ორასის მანეთის ქართული წიგნი იყიდება) და შეუნდობელი ცოდვა იქნება, თუ ბათუმმა სასწავლებელსა და ეკკლესიისთან ერთად მუშა ხალხს წიგნიც არ მიაწოდა საკითხავად. თუ ცალკე ვერ მოხერხდა სამკითხველოს მოთავსება, კომიტეტი ეხლავე უნდა შეეცადოს, რომ იგი მოთავსებული იყოს სასწავლებლის შენობაში, სადაც სამკითხველოს გამგედ დანიშნული იქნება ერთი მასწავლებელთაგანი.

ნ. ჰ.

ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

(ამბავი ბ. პრუსისა)

როცა გრაფის მეუღლე თავ-შესაფარის დასათვალიერებლად მოვიდა, ერთმა უჩვეულებრივო ამბავმა გააოცა: ოთხი პატარა ბიჭი ერთმანეთს ხელიდგან რაღაც წიგნსა სტაცებდნენ და თან ყოველი მათგანი თავის უფლების დასამტკიცებლად მუჯლუგუნსა სცემდა მეორეს.

— თქვენ, მგონია, ერთმანეთსა სცემთ? ჰკითხა შეშინებულმა ქალმა. მაგ საქციელისთვის არც ერთი თქვენგანი შაქარ-პურს არ მიიღებს და გარდა ამისა, დაგაჩოქებთ კიდეც.

— მე იმან რობინზონი მომტაცა!.. გაიმართლა თავი ერთმა ბავშვთაგანმა.

ენიათ ცალკე მღვდლის გამოგზავნა და სასწავლებლის დაარსება, მაგრამ ჯერ არ განუხორციელებიათ თავისი სურვილი. ღმერთმა ჰქმნას, სასულიერო მთავრობამ დროზედ მიაშველოს ამ მივიწყებულს ქრისტიან ხალხს მწყემსი კეთილი და ლამპარი გონებისა—სასწავლებელი. თქვენ სურვილი და მოთავე ბძანეთ, რომელმაც ამ კეთილ საქმეს თავი დაუდოს, თორემ, ხომ მოგეხსენებათ, „სოფელი ღონიერია“ ეკლესია უკვე აქვთ და სასწავლებლის აშენებაც არ გაუჭირდება ორ სოფელს, ოღონდ სასულიერო წოდებამ სამრევლო სასწავლებელი დაუარსოს.

ჩემის აზრით, თუ ზრუნვა გვმართებს ქრისტიანობის დამკვიდრებისა, სწორედ, რომ ამ ჯავახეთშია საჭირო განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ქრისტიან ქართველებს, რომელნიც გადარჩნენ გამძვინვარებულს ისლამს ჯავახეთის ნანგრევებზედ. რა გაჭირვებითა და წამებით დაიცვეს ამ ერთმა მუჭა ხალხმა ქრისტეს რჯული ოსმალოს პოლიტიკურ ჭექა-ქუხილის დროს და ახლა-კი, რაკი ქარიშხალმა გაიარა, ასე გულ-გრილად ვეპყრობით ამ ახლად მობრუნებულ და ახლად ნაპოვნ ჩვენს მოძმეებს. თუმცა დასაჯერებელი არ არის, მაგრამ რამდენიმე კაცი მარწმუნებდა რომ ზამთრობით, როცა თოვლი და ნამქერია, მღვდელს უჭირდება სოფელში წასვლაო. თურმე ზიარებას, სიკვდილის წინა საათს, ეს ხალხი ჩვეული არც-კი ყოფილა და როცა მოუკვდებათ ვინმე, მღვდელი თოვლისა და ნამქერის გამო ვერ მიდისო და მღვდელი მიწას უკურთხებს—გულზე დააყარეთ და პანაშვიდს მერე გადაუხდიო. მერე განა ეს დასაჯერებელი-ღაა, როცა ეს ხალხი საქრისტიანოში სცხოვრობს. მღვდელსაც შევეკითხე და მითხრა, ზოგჯერ შეიძლება მოხდესო.

ილია ალხაზიშვილი

სოფ. ძიმითი 18 ივლისი. 15 ივლისს, კვირიკობის დღეობას, დიდძალი ხალხი შეგროვდა ამ ეკლესიის ეზოში. ეკლესიაში მშვენიერი წირვა იდგა. ცოტა-ღა აკლდა წირვის შესრულებას, რომ ქალებში შეიქნა ერთი ფაცა-ფუცი „სამაჯური და ბეჭდები მომპარესო“, ამბობდა ერთი ქალი. ქმარი ამტკიცებდა სამაჯური სამი თუმანი ღირსო და თითო ბეჭედი ხუთ-ხუთი მანეთიო, მეორე მანდილოსანი ამბობდა, აბრეშუმის ხელსახოცი მომპარესო, ერთი კაციც გაიძახოდა, ბუხრის ქუდი დავკარგეო. ყველაზედ უფრო იბრალებდნენ იმ მანდილოსანს, რომელმაც ორმოც-და-ხუთის მანეთის ზარალი ჰნახა, მაგრამ მალე შეურაქაფდა სევდა ამ ქალს. ერთმა პატარა ბავშვმა მოარბენინა სამაჯური და ბეჭდები, მაგრამ სამაჯური სამ მანეთიანი გამოდგა და ბეჭდებიც მანეთიანები. ბავშვმა თავის მონატანს ზედ ისიც დაურთო, რომ „როცა ეს ქალი ცხენმა გადმოაგდო, ეს ნივთები იქ გავარდნოდაო“. ქუდის დამკარგავს კიდევ უფრო სცხვენოდა, რადგან სასაცილოდ აიღეს „თავი სახლში დავიწყებიაო“. მეორე საათი იქნებოდა, რომ ეკლესიის მინდორზედ ველარავის ნახავდით, მანამდის ცეკვა თამაშით იყვნენ გართულნი.

ერთი აქაური გლეხი, სიმონა გოგელია დიდ მზადებაში იყო, უფროსი ვაჟის ცოლის ნათესავებს ელოდა, მზარეული წინა დღიდგან დაექირავა. მართლაც კარგა დიდ-ძალი სტუმრები ეწვივნენ, დიდი მხიარულება გაიმართა ამ ოჯახში. საღამომდის სიმღერა, ცეკვა, თამაში, დაირისა და მუსიკის ხმა ისმოდა, ბევრი ამბობდა «სიმონას ბევრი სტუმრები ჰყავს და კარგი ლხინიც აქვთო»... მაგრამ საღამო ჟამს ეს მხიარულება მწუხარებად შეიცვალა, რადგანაც შეზარხოშდნენ, აირივნენ სტუმარ მასპინძლები, დაერივნენ ერთმანეთს რევოლვერით, ხანჯლებით, თოფებითა და ჯოხებით, მძიმედ დასჭრეს გზად მიმავალი გიორგი მასხულია, აგრეთვე დაიჭრნენ პლატონ მუხაშავრია რევოლვერით, ტყვია შუბლში აქვს და ხანჯლითაც დაჭრილი მარჯვენა ხელში ლევანტი ჩხიკვაძეს; თავი აქვს გაჩეხილი ხანჯლით და დაჭრილია მარჯვენა ფერდში ექვთიმე ჩხიკვაძეს, თავი აქვს გატეხილი ილიკო მიქაშავიძეს და ალათი მასხულისა. სიმონა მწარეთ მოსთქვამდა და ტიროდა ამ უბედურების გამო. ალთმა მისცა ღმერთს, რომ ამიერიდგან აღარავინ დავპატიჟო საკვირიკობოდო, მაგრამ რაღა დროს. 17-ს ამ ივლისს ერთი დაჭრილთაგანი, მუხაშავრია, გარდაიცვალა.

ვლადიმერ მალალია

უცხოეთი

ჩინეთი და იაპონია. ჩინეთსა და იაპონიას შუა დაწყებულ ომისაგან ჯერ ისეთი თვალ-საჩინო გარემოება არა წარმომდგარა-რა, რომელსაც შეეცვალოს დამოკიდებულება ევროპის სახელმწიფოთა შორის. იქნება დიპლომატია კიდეც ამზადებდეს რაიმე უეცარს ფეშქაშს ქვეყნისათვის, მაგრამ ეს ჯერ არავინ იცის. ცხადი მხოლოდ ამ საქმეში ის არის, რომ თითოეული ევროპის დიდი სახელმწიფო და ამერიკის შეერთებული სტატების რესპუბლიკა გაფაციცებით შესცქერიან აღმოსავლეთის დიდ იმპერიებთა ბრძოლას.

საფრანგეთი. რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც სრულიად თავისუფალია სანამდის პარლამენტი შეიკრიბებოდეს, კარგი შემთხვევა აქვს დაამტკიცოს, რომ ახალი კანონი, რომლის ძალით ბეჭდვითი სიტყვა და მართლ-მსაჯულებაც შევიწროებული შეიქმნა ნამდვილად სასარგებლო და საჭირო იყო.

ჯერ-ჯერობით არა ისმის-რა იმის შესახებ, რომ მთავრობას მოეხმაროს უფლება ახალის კანონისა. პრეზიდენტის კარნოს მკვლელის პროცესსი თავისუფლად იბეჭდება გაზეთებში.

ამ პროცესზე ერთი გარემოება დიაღ ჭეშმარიტად აღნიშნა კაზერიოს ბრალმდებელმა.

იგი ამბობს, რომ ანარხისტი კაზერიო არც ერთს ეროვნობას არ ეკუთვნის, რადგანაც ამ დასის ხალხი ბრმა ფანატიკოსები არიან და ყველა ერის წარმომადგენელს თანასწორად, დაუზოგველად ექცევიანო.

რადგანაც თვით დედა-აზრი ანარხისტთა გაშმაგებულის ბრძოლისა საზოგადოების წინააღმდეგ უმთავრესად ახლანდელი ეკონომიურის წეს წყობილების უვარგისობა არის, ამიტომ რასაკვირველია, მათ მოქმედებას კოსმოპოლიტიური ხასიათი ექმნება და არა ეროვნული.

კაზერიოს სამსჯავრომ სიკვდილით დასჯა განუჩინა და საფრანგეთის საზოგადოების აღელვებული გრძნობა იქნება ცოტა დამშვიდდეს ლიონის სამსჯავროს განაჩენით.

ბულგარია. იქნება არც ერთი გადამდგარი მინისტრი არ ყოფილა ისეთის ყურადღების ღირსი, როგორც ბულგარიის ადრინდელი დიქტატორი სტამბულოვი. კორესპონდენტი კორესპონდენტს მიზდევს და მიდიან სანახავად ამ ოდესღაც თავის ქვეყანაში ძლიერ კაცთან და მცირეოდენი იმისი ნალაპარაკი გააქვთ მთელს ცას ქვეშეთში.

ბულგარიის პოლიტიკამ სტამბულოვის გადაყენების შემდეგ ცოტა არ იყოს რუსეთისკენ იბრუნა პირი და ზოგიერთთ იმედი აქვთ, რომ რუსის გავლენა ბულგარიაზედ ისევ დამკვიდრდებაო.

სტამბულოვი რომ აშკარა მტერი იყო რუსის გავლენისა თავის ქვეყანაში, ეს ცხადად დამტკიცდა, მაგრამ რა განსხვავებულ მეგობრობას გამოიჩენენ ახლანდელნი მმართველნი ბულგარიისა რუსეთის მიმართ—ესეც ხომ ჯერ არ არის გამორკვეული.

ისევ ბურდუხან დედოფლის ხატის გამო

(თ. ჟორდანიას პასუხად)

როდესაც ხოპის მონასტრის წარწერები გადმოვწერე და შევასწორე, მაშინ მე კითხვე თქვენგან ხსენებულს არქიმანდრიტს: მღვდელ-მონაზვნების დასწრებით შემამოწმებინა ერთი ის ნაწილებიანი ხატი, რომლის წარწერაში დასახელებულნი არიან სხვა-და-სხვა დროის მოღვაწენი. მიპასუხა: ზედ არავითარი წარწერაა, მოწამეთა სახელების გარდაო. ამის საბუთად მომცა თქვენის დროის (მასის სიტყვით) გადმოწერილი წარწერები, მისგან ხელ მოწერილი, რომელშიაც ბორდოხან დედოფალი არ არის მოხსენებული.

როცა თქვენს «ქრონიკაში» წავიკითხე, მაშინ ყველას დავეკითხე აქ, ვუჩვენე თქვენგან მოყვანილი ცნობაც, მაგრამ ყველამ უარი განაცხადა და მაჩვენეს ზემოხსენებული ხატის წარწერა, რომელიც ვერცხლის ზურგზეა, ჯვარის გარშემო ხუცური ასო-მთავრულით. წარწერა ამბობს: „რომელმან ჯვარცმა და დათმენა დაითმინე“ და სხვ. „მეოხ ექმენ დიდსა მეფეთა მეფის შვილსა ლაშარის და დადიანის ასულსა ასძრიბს ამინ“. ხოლო ხატის კიდეებზედ წარწერილია ასეთ ასოებით, შესავლის შემდეგ: „განგიასხლეთ ყოვლად პატიოსნის ჯვარცმის ხატი ესე მემან პატრონისა მანუჩარისამან ლევან, თანა მეცხედრის ჩვენისა ჭილაძის ასულის დედოფლისა ბატონის ნესტანდარეჯანის სულის სახსრად.

ეს'დის ხატი ჯვარცმისა ყოფილა და არა ღვთისმშობლისა, რადგან შიგ ასვენია ძელი ჭეშმარიტი, სიმაღლით 6½ გოჯი, სიგანით 5 გოჯი. წინა პირზე ოქროს ჯვარცმაა ამოყვანილი და იმის გარშემოა მოწამეთა ნაწილები.

„ივერიის“ მე-152 №-ში დაბეჭდილ თქვენის წერილის გამო ეს ხატი გავსინჯე (თქვენის ცნობით შუაზედ-კი არ იღება, ზემოდგან აქვს ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერილი ფიცარი ნაწილების სათავსად. ხოლო შუაზე ახალის სამხატვრო წამლით პატარა ტანის ღვთისმშობელია ღვთაებრივის მით გამოხატული ოქროს გვირგვინით). ნაწილების ქვემოთ ერთს ოქროს არშიაზე ამოჭრილია ეს საყურადღებო წარწერა: შესავლის შემდეგ „თქვენ მოწამენო მღვდელთ-მთავარნო მამანო, თანა ღვთის მეტყველთანო იოხეთ დაცვად მტერისა საბრძოლთაგან მოსავი თქვენი ბორდოხან დედოფალი“.

თამარ მეფის გულსაკიდ ჯვარში 1890წ. თქვენგან ნახული. «ძელი ჭეშმარიტი» რომელზედაც თქვენ ამბობთ „შიგ ასვენია ჯვარის სახედვე ძელი ჭეშმარიტი, დ. თვალითაც დიდ დასანახია და თქვენ-კი ვერ შეგინიშნავთ სიჩქარისა გამო“.

ნამცეციც არ არის. კარგს იზამდით, რომ დაასახელებდეთ, თუ იცით, ვისმა ხელმა ამოიღო თქვენგან ნახული ძელი

— ტყუილია, მე-კი არა, მაგან მომტაცა, მიუგო მეორემ.

— ღმერთს გეფიცებით, ორივენი სტყუიან. მაგათ მე მომტაცეს რობინზონი! წამოიძახა მესამემ.

— ნუ დაუჯერებთ, ქალბატონო! მოახსენა მეოთხემ; იანიომ რობინზონი მე მომცა და მაგათ... მ...ე... წა...წა...მარ... თვეს... დაასრულა ქვითინით.

ამ ხმაურობასა და ყვირილზე გამოვიდა თავ-შესაფარის უფროსი ქალი. ამ ქალმა აუხსნა გრაფის მეუღლეს, რომ, თუმცა სასტიკი ყურადღება აქვთ ბავშვებს მიქცეული, მაგრამ მაინც ამისთანა შემთხვევა ხშირია ბავშვებ შორის, რადგან თავ-შესაფარს წიგნთ საცავი არა აქვს დაარსებული და ბავშვები საკითხავ წიგნებს მოკლებულნი არიანო.

გრაფის მეუღლეს გულში რაღაც სიბრალულის ნაპერწკალმა გაურბინა (თითონ ასე ეგონა), ჩაფიქრდა, მაგრამ ძნელი ის იყო, რომ ყოველს ჩაფიქრებაზედ თავის ტკივილი მოსდიოდა, ამიტომ ეცადა საჩქაროდ ფიქრიდგან მოეშორებინა მოჩხუბარი ბავშვებიცა, წიგნებიცა და ნაპერწკალიც. მხოლოდ თავის სასტუმროში, როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო და სასულიერო საქმეების შესახებ, მოაგონდა თავ-შესაფარი და ყველას უამბო ბავშვებ შორის მომხდარ ჩხუბის ამბავი რობინზონის გულისათვის და თავ-შესაფარის უფროსი ქალის ნათქვამიცა.

საბჭოს წევრმა ორივე ხელი გაბერილს მუცელზედ შემოიწყო და ღრმად ჩაფიქრებულმა მოუსმინა ბოლომდის. იგი მიჩვეული იყო ღრმა ფიქრს და თავის ტკივილისაც არ ეშინოდა, ამიტომ როცა ასწონ-დასწონა გრაფის მეუღლის ნაამბობი, იმ დასკვნას დაადგა, რომ თავ-შესაფარის უფროს ქალს სწორედ მართალი უთქვამს, ბავშვებისათვის წიგნებია საჭიროა ისიც-კი გაახსენდა, რომ სადღაც ზანდუკსა, შკაფსა თუ ბანზედ, მრავალი წიგნი ეყარა, ოდესმე თვისი ბავშვებისათვის ნასყიდი, მაგრამ, საქმე იმაში იყო, რომ მონახვა და გადარჩევა ემძიმებოდა.

ამის შემდეგ საბჭოს წევრს ერთხელ მოუხდა ყოფნა თავად Z-სას, რომელიც ძალიან გავლენიანი კაცი იყო და დიდი სურვილი ჰქონდა ქველ-მოქმედის სახელი გაეთქვა, რის გამოც თვისი სიცოცხლე მდაბალ მოხელეთა ცხოვრების განკარგებას შესწირა. საბჭოს წევრმაც, რათა ესიამოვნებინა თავადისათვის, გრაფის მეუღლისაგან გაგონილს ამბავს, რასაკვირველია, უფრო გალაზათიანებულს, მოუყვა და თან დაუმატა, კარგი იქნებოდა თავშესაფარში მყოფ ბავშვებისათვის წიგნები გვეჩუქნაო.

— მაგაზედ ადვილი რაღა იქნება! სთქვა თავადმა, ხვალვე შევალ რედაქციაში და ყოველს ღონისძიებას მოვიხმარებ, ჩემს ძალასა და სიმჭევრეს არ დავიშურებ, რომ რედაქციამ ხელი შეუწყოს თქვენის ყოვლად პატიოსან სურვილის განხორციელებას.

მართლადაც, მეორე დღეს თავადი საშინლად დაღალული, ხვნეშით შევარდა რედაქციაში და ვინც-კი იქ შეხვდა, სათითაოდ სთხოვა, დაეხმარენით და დაბეჭდეთ საზოგადოების მიმართ თხოვნა, რომ შეეწიოს საცოდავს ობლებსაო.

სწორედ დროზედ მოუვიდა თავადს იქ შესვლა. იმ დროს რედაქციას მასალა აკლდა ნომრის შესავსებლად და ეს ამბავი ასლი იყო იმათთვის.

საგრძნობელ და გულის ამაძგერ და ამაჩვილებელ ამბების შემადგენელმა იქვე დაჯდა და დასწერა:

„საბრალო ობლებს, რომელნიც საქალაქო თავშესაფარში სცხოვრობენ, სულიერი საზრდო აკლიათ!

„პაწაწინები მოწყენილნი არიან!

„წიგნებია საჭირო!

„ნუ დაივიწყებთ დამაშვრალთ!“

დასწერა ეს, დაუსო წერტილი, წამოდგა და სტვენით გასწია შინისკენ.

რამდენისამე დღის შემდეგ, კვირა დღეს, რედაქციის დაკეტილ კარებთან შევხვდი ღარიბად ჩაცმულს კაცს, ისეთს გამურულ ხელებიანს, თითქოს ბუხრების მწმენდელი იყოსო, და მასთან პაწია გამხდარს ქალს, რომელსაც იღლიაში რამდენიმე წიგნი ეჭირა, ერთად შეკრული.

— რა გნებავთ-მეთქი? დავეკითხე.

შავ-ხელებიანმა კაცმა თავი დამიკრა და გაუბედავად მითხრა:

— აი... რამდენიმე წიგნი მოვიტანეთ... იმათთვის... დამაშვრალთათვის, გაზეთში რომ იყო ნათქვამი. გამხდარი პაწია ქალი წამოწითლდა, რამდენადაც-კი შეეძლო წამოწითლება, და მომაწოდა წიგნები.

— რა გქვიანთ? ვკითხე შემომწირველთ.

— ეგ რაღა საჭიროაო? იკითხა და გაოცებით დამიწყო ცქერა.

— უნდა დავბეჭდოთ, ვისგან არის შემოწირული წიგნები.

— ოჰ, ეგ სულაც არ არის საჭირო, ძველი წიგნებია და მეც —საწყალი კაცი ვარ, ხელოსანი—მექუდე, დაუმატა მან.

თავი დამიკრა და საჩქაროდ წავიდა თავისის პაწია ქალითურთ.

სწორედ ამ დროს გამოიარა ფიზიკის პროფესორმა და ჩემდა უნებურად გამახსენდა და თვალწინ წარმომიდგა სრულიად განსხვავებული ტელეგრაფი: უმთავრესი სადგური თავ-შესაფარი იყო, მეორე ხარისხისა—მექუდე; უმთავრესმა სადგურმა ხმა მისცა, მეორემ პასუხი მიუგო. ობლები შველას იმუდარებოდნენ— ხელოსანმა, მუშა-კაცმა დააკმაყოფილა იგინი.

და ჩვენ-კი... ჩვენ, დედა-ბოძნი? დიაღ, ჩვენ... ისევ დედა-ბოძნივე ვიყავით, მაგრამ ტელეგრაფის ბოძნიკი!..

ე. ა.

ჭეშმარიტი, დიდებულის მეფის გულ სა კიდის ჯვარიდგან? ან თუ არა-და, განა დიდ შეცდომად უნდა ჩაეთვალოს, ვინც ვერ შენიშნა 2½ გოჯის სიმაღლე, და 2 გოჯი სიგანე ნივთი, როგორც ყოფილა ,,ჯვარის სახედვე ჩასვენებული ძელი ჭეშმარიტი?‘‘

კალისტრატე

◆ ◆

მცირე შენიშვნა

კვირას, 24 ივლისს, სურამში ადგილობრივ სცენის მოყვარეთ ბ-ნთ გ. ყიფიანის, გ. გუნიას, შათირიშვილისა და აგრეთვე ჩემის დახმარებით გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს ,,ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე‘‘ და ,,ადვოკატთან‘‘. წარმოდგენას ბლომად დაესწრო ხალხი

სრულებით პირველად ამ დღეს სცენაზედ გამოვიდნენ ქ-ნნი: ნ. ბ. ყიფიანისა (არტისტის კ. ყიფიანის მეუღლე, —) ნ. ი. და ბ. ს. ყიფიანისა, რომელთაც თავისის შეგნებულის, მოხდენილისა და რიგიანის თამაშით ისე იმოქმედეს საზოგადოებაზედ და ისეთი თანაგრძნობა გამოიწვიეს დამსწრეთაგან, რომ მეტის ნატვრა შეუძლებელია. მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, რომელსაც ბევრი კარგი აღმასრულებელი მინახავს სცენაზედ და დაფასებაც შემიძლიან ხელოვნებისა, სრულ აღტაცებაში მოვედი მათის ისეთის ჩინებულის და მოხდენილის თამაშობით.

ეს ორიოდ სიტყვა გამოვსთქვი იმ აზრის საწინააღმდეგოდ, რომელიც ჩვენს დრამატიულს კომიტეტს ხელზედ აქვს დახვეული, რომ ჩვენ ვითომ არსად არ მოგვეპოვებოდეს რიგიანად სცენაზე მოთამაშენი.

დიაღ, ბატონებო! სცენაზედ რიგიანად მოთამაშენი-კი მოგვეპოვებიან, მაგრამ იმათ ძებნა უნდა. მოპატიჟება და საშუალების აღმოჩენა, თორემ თავისით, რასაკვირველია, არავინ გადმოფრინდება!..

ვასილ აბაშიძე

◆ ◆

პეტერბურგის ბირჟა, 21 ივლისი

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,44	7,46	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	148½	149¼	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	— ,,	— ,,	240
—მეორისა	— ,,	— ,,	225½
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	190½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	101¼	— ,,
5%	— ,,	100¼	— ,,
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	102	— ,,
5%.	100	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	99	— ,,	— ,,

განცხადებანი

დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდად
სურათებიანი წიგნი

სვიის გვირგვინი

მოთხრობა ყმაწვილებისათვის ქრისტეფორე შმიდტისა

თარგმანი სალომე შუბათელისა

წიგნი ისყიდება წერა-კითხვის და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

(3—მ—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ-იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

ნიგვზის
თმის საღებავი
ვ. გენესი.
ქ. ვენაში.

უვნებელი წამალი სწრაფად შესაღებად თმისა და წვერისა შავად, ქერად და წაბლის-ფერად. ფლაკონი ღირს გაგზავნით 3 მანეთი.

უმთავრესი საწყობი რუსეთისათვის
В. АУРИХЪ,
С,-Петербургъ,
Колокольная 18.

(8—8)

გაუფრთხილდით სიყალბეს და მიბაძვას!!

საპონი
პროვიზორი
ა. მ. ოსტროუმოვისა

სრულიად ჰკარგავს თავის თეპოს, თმას ზდი-და ნამდვილად აყენებს თმის ჩამოსვლას.

ფასი ერთ ნაჭრისა 30 კაპ. მოდიდოები 50 კაპ. რომ არ მოსტყუვდეთ მოითხოვეთ ნამდვილი საპონი, რომელსაც იარლიკზედ აქვს მთავრობისაგან დამტკიცებული მარკა № 3374.

ისყიდება ყველგან!

საწყობი: მოსკოვი, ლიალინის ვიწრო ქუჩა საკუთარი სახლი.

(20—17)

ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

,,სიჭაბუკის ცოდვა‘‘

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

„წერა-კითხვის საზოგადოების“
წიგნის მაღაზიაში
ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა.	„	20
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

სავაჭრო სახლი

ნ. ლ. შუსტოვისა და მისი შვილისა

სურვილი მაქვს რა პირდაპირ ვიქონიო დამოკიდებულება ბაღის პატრონებთან, უმორჩილესად ვსთხოვ ვისაც სურს საუკეთესო კონიაკის და ღვინის გასყიდვა, მოიწერონ თავისი წინადადება უმთავრესს კანტორაში შემდეგის ადრესით: Москва, Большая Садовая, соб. домъ.

2—18—2

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

1 იანვარს 1891 წელს საზოგადოებას ჰქონდა თანხად 72.000,000 ფრანკი

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენ“-მა 1890 წ. საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი,
ნევის პროსპექტი,
№ 13.

„ურბენი“ (L'URBAINE)

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ათავისუფლებს ვადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლიაკი და ამხ., ტფილისს, ველიამინოვის ქუჩა, სახლი № 10, მეორე გიმნაზიის პირდაპირ.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—1061—12)


АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОС.
ЗА УСЕ

ვერცხლისა

ტფილ. გამოფენა.

ИЗЪ ЗАВОДА
А.А.ТУТАЕВА
РАЗНЫЯ
МАСЛЯННЫЯ
КРАСКИ

ქარხანა.

ზეთიანის საღებავებისა (კრასკების)

ა. ა. თუთაევისა

ტფილისში, იარმუკაზედ.

დიდის ხნის გამოცდილებითა და ახლად შეძენილის დიდის მაშინის შემწეობით, რომლითაც საგანგებოდ ილესება და მზადდება საღებავები, ვამზადებ ყოველ გვარს ზეთიანს საღებავს, რომლებიც დღეიდგან რკინის კოლოფებშიაც იქნება გაკეთებული სხვა-და-სხვა წონისა ჩემის ფირმით. ვაუწყებ ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას და სხვა-და-სხვა ქალაქებიდგან შემომკვეთლებს და ვაძლევ სიტყვას, უგზავნო საუკეთესოდ მომზადებული საქონელი და გასაშრობი კრასკები სწრაფად და რაც შეიძლება იაფ ფასად.

რამდენად მკვიდრია და გამძლე ჩემ მიერ გაკეთებული კრასკები ამის შემოწმება შეუძლიან ყველას, ვინც მოისურვებს და ჰნახავს მეორე წლის შეღებილ დუქნების სახურავ ბანებს ბორდოსფრათ, მიხეილის ხიდზედ, რომელიც ეკუთვნოდა წინათ მირზოევს და ახლა ფარსადანოვს ეკუთვნის; ალექსანდრე მუნთოვის სახლის კრიშა მწვანე ფერად-მედიანკით, სადაც ობოლთა მფარველი სასამართლო იყო; და დიკის ფერად ავჭალის ქუჩაზედ სასულიერო სასწავლებლის სახლის სახურავი აღმოსავლეთის მხრივ.

გარდა გალესილი და დამზადებულ კრასკებისა, ვყიდი ყოველ გვარს გამშრალს კრასკებს, ზეთსა, სკიპიდარს, პენძს, ლაქს, კისტებს, ბრონძს, ალიფს, მასსას, ლიტო-ტიპოგრაფიის კრასკებს და ყველა მოწყობილებას სამხატვრო საქმისას, თუ ლიტო-ტიპოგრაფიისას,

ვინც დროიანად შემომიკვეთს, ყოველ გვარას ხელოსნებსაც ვუშოვნი საქმეს გასაკეთებლად, როგორც ტფილისში, ისე გაგზავნით სხვა ადგილებში. თუ დრო გვექნება, თვით ჩვენ ვიკისრებთ ყოველ საქმის შესრულებას, ყოველ რემონტს.

—1579—4

ალალო თუთაევი

Дозволено цензурою Тифлисъ, 29-го Іюля 1894 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.